„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი

ასპინძის სამხრეთი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ნოემბერი. 2020 * (9)66

ძვირფასო ასპინძლელებო, გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

23 ნოემბერს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აღნიშნავს. გიორგობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება, 6 მაისს ეკლესია წმინდანის აღსრულების დღეს აღნიშნავს, 23 ნოემბერს კი _ ბორბალზე წამების დღეს. გიორგობა მხოლოდ საქართველოში აღინიშნება ორჯერ.

ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, „გეორგიას„ უწოდებდნენ. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, კირიონის ცნობით, წმინდანი კაბადოკიელი მესხი იყო, დიდებული ოჯახის შვილი, რომელიც რომის ლაშქარში მსახურობდა და თავისი სიმამაცით იმპერატორ დიოკლეტიანეს ყურადღება მიუპყრია. მალე მისი პირადი მცველი და შემდეგ მისი მხედართმთავარი გამხდარა. გიორგიმ მეფის წინაშე კერპთაყვანისმცემლობა დაგმო და ქრისტიანობა იქადაგა. დიოკლეტიანემ, როცა მისი გადაბირება ვერ შეძლო, მუცლის ლახვრით განგმირვა ბრძანა. ლახვარი წმინდანის ხორცის შეხებისას სანთელივით მოიდრიკა. ამის შემდეგ დიოკლეტიანემ წმინდა გიორგი ურმის თვალზე დააკვრევინა, დალმართზე კი მახვილები დააგებინა, რის შედეგადაც მოწამის სხეული მრავალ ნაწილად დაიჭრა. თუმცა ღმერთის ანგელოზის გარდამოსვლით იგი მეყსეულად განიკურნა.

ამ სასწაულმა მრავალი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ქრისტიანობა მეფის მეუღლე ალექსანდრიამაც ირწმუნა და დიოკლეტიანეს წინაშე უშიშრად აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი. მეფემ წმინდა გიორგისა და ალექსანდრია დედოფლის სიკვდილით დასჯა ბრძანა. წმინდა გიორგის თავი მოჰკვეთეს, ხოლო ალექსანდრიამ ლოცვის შემდეგ უმახვილოდ განუტევა სული.

დიდ წმინდანს, წმინდა გიორგის, არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ სხვა აღმსარებლობის მორწმუნეები აღიარებენ.

საქართველოში წმინდანის სახელზე ქვეყნის ყველა კუთხეში არაერთი სალოცავი შენდებოდა და შენდება.

სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე, ბოდბეში, წმინდა ნინოს თაოსნობით, აიგო (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა).

წმინდა გიორგი მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად ითვლება. ასევე მას ევედრებიან დემონური ძალებისაგან გამოხსნას. წმინდა გიორგი ქართველთა მფარველად ითვლება, უფლის განგებით, ქართველთა მფარველობა მას დააკისრა. სწორედ ამიტომ, წმინდა გიორგის იკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო“.

ქრისტიანული სამყარო 23 ნოემბერს გიორგობას აღნიშნავს. მორწმუნეები დღესასწაულს ტაძრებში საზეიმო წირვით აღვნიშნავთ. წმინდა გიორგის განსაკუთრებით ვსასოებთ ქართველები, იგი ძლევამოსილი და უძლეველი ზეციური მხედარია.

დეკანოზი
მამა ზოსიმე (კაცაძე)

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

18 ოქტომბერს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი დისტანციური სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის №10 12 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.



დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლოცვა წმინდა გიორგისადმი

წმიდაო გიორგი კაბადუკიისაო,
წმიდაო გიორგი იერუსალიმისაო,
წმიდაო გიორგი ბეთლემისაო,
წმიდაო გიორგი გეთსამანიისაო,
წმიდაო გიორგი ეგვიპტისაო,
წმიდაო გიორგი რომისაო,
წმიდაო გიორგი გალატიისაო,
წმიდაო გიორგი თესალონიკისაო,
წმიდაო გიორგი კილიკიისაო,
წმიდაო გიორგი კესარიისაო,
წმიდაო გიორგი კორინთისაო,
წმიდაო გიორგი ოდიშისაო,
წმიდაო გიორგი აფხაზეთისაო,
წმიდაო გიორგი ჩხარისაო,
წმიდაო გიორგი ატოცისაო,
წმიდაო გიორგი უძოსაო,
წმიდაო გიორგი უსანეთისაო,
წმიდაო გიორგი კავთისაო,
წმიდაო გიორგი კორინთისაო,
წმიდაო გიორგი გორისაო,
წმიდაო გიორგი ცხინვალისაო,
წმიდაო გიორგი მუხრანისაო,
წმიდაო გიორგი დიღმისაო,
წმიდაო გიორგი ქაშოეთისაო,
წმიდაო გიორგი კალაუბნისაო,
წმიდაო გიორგი თელეთისაო,
წმიდაო გიორგი გორიჯვრისაო,
წმიდაო გიორგი მარტყოფისაო,
წმიდაო გიორგი ხაშმისაო,
წმიდაო გიორგი ნინოწმიდისაო,
წმიდაო გიორგი საგარეჯოსაო,
წმიდაო გიორგი მანავისაო,
წმიდაო გიორგი ფხოველისაო,
წმიდაო გიორგი ზიარისაო,
წმიდაო გიორგი კონდოლისაო,
წმიდაო გიორგი თელავისაო,
წმიდაო გიორგი რუისპირისაო,
წმიდაო გიორგი შილდისაო,
წმიდაო გიორგი გრემისაო,
წმიდაო გიორგი ყვარელისაო,
წმიდაო გიორგი გავაზისაო,
წმიდაო გიორგი ალავერდისაო,
წმიდაო გიორგი გურჯაანისაო,
წმიდაო გიორგი კარდანახისაო,
წმიდაო გიორგი ქიზიყისაო,
წმიდაო გიორგი მელაანისაო,

ღვთაებაო, პირო ღვთისაო, სვეტო ცხოველო, კვართო საუფლოვ და ყოველნო წმიდაო, თქვენ მფარველ და მეოხ ეყვენით მონასა (მხევალსა) ამას თქვენსა სახელით. ამინ!

ხალხური

საბავშვო ბაღებში მუშაობა განახლდა

კორონა-ვირუსის პანდემიის გამო, უდიდესი პრობლემები შეიქმნა აბსოლუტურად ყველა სფეროში, რის გამოც მსოფლიოს ყველა ქვეყანა უდიდესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, თითქოს სხვა წესრიგი დამყარდა და არავინ იცის ეს პროცესები როდის ჩადგება კალაპოტში. ერთი კი ცხადია, განსაკუთრებული პრობლემები მაინც საგანმანათლებლო სფეროს შეექმნა, რაც, უეჭველად, დიდ დაღს დაასვამს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს, ასევე დიდი გამოწვევების წინაშეა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

ამა წლის მარტის თვიდან მოყოლებული, როგორც ყველგან, ასევე აქაც, დროებით იქნა შეჩერებული სამუშაო პროცესები და, აი, 12 ოქტომბერს, ამ სისტემაში კვლავ განახლდა მათი ფუნქციონირება.

კორონა-ვირუსის მეორე ეტაპის პრევენციის მიზნით საბავშვო -ბაღებმა მუშაობა მოქმედი რეკომენდაციებით და ახალი რეგულაციების სრული დაცვით განაგრძეს.

მერიის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა, რეგისტრირებული ყველა აღსაზრდელისთვის ინდივიდუალურად შეიძინეს სხვადასხვა მეთოდური მასალა: ელექტრო თერმომეტრები, სადეზინფექციო ხსნარები, ნარჩენების კონტეინერები, პირბადეები, ხალათები, წყალგაუმტარი წინსაფრები, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები. საბავშვო ბაღებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, ასევე მოეწყო დეზობარიერები, დისპენსერები,

სააღმზრდელო ჯგუფების მოწესრიგებასთან ერთად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო რეგულაციების შესაბამისად – აუცილებელი ინვენტარითა და საშუალებებით.

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის დაწყებას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ელისო ბექაური დაესწრო.

სოფელ რუსთავის საბავშვო ბაღში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სააღმზრდელო პროცესი მოგვიანებით განახლდება.

ვეტერანთა დღე აღინიშნა

თითქმის 30 წელი გვაშორებს იმ დღიდან, რაც ქართველმა ხალხმა ნანატრი თავისუფლება მოიპოვა, თუმცა ეს გზა ურთულესი და ძნელად გასავლელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო ქვეყანამ არაერთი ჭეშმარიტი მამულიშვილის სისხლი გაიღო და ტერიტორიების დაკარგვის ფასად მოგვიხდა მისი მოპოვება.

საქართველოს ისტორია ხომ არასოდეს ყოფილა იავარდებით მოფენილი, მან მთელი თავისი არსებობის მანძილზე უამრავი ბრძოლა გადაიხადა და დღემდე შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადობა. დღევანდელი თავისუფლებაც, სხვებთან ერთად, ჩვენი თანამემამულეების სისხლითაა მოპოვებული, ამიტომაცაა, რომ მადლიერი შთამომავლობა ყოველწლიურად აღნიშნავს ამ დაუვიწყარ – ვეტერანთა დღეს.

ამა წლის 17 ოქტომბერს, ამ დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ კულტურისა და დასვენების პარკში, გაიხსენეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირები, რომლებმაც თავი შეწირეს სამშობლოს თავისუფლებას და ომში დაღუპულთა მემორიალი ცოცხალი ყვავილებით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ცნობისათვის: ვეტერანთა დღე საქართველოში 2014 წლის 17 ოქტომბრიდან აღნიშნება.

გაბიონების მოწყობა გრძელდება

უკანასკნელ ხანებში ბევრ რეგიონში გახშირდა სტიქიური უბედურებები, რამაც დილემის წინაშე დააყენა ქვეყნის არაერთი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. ტელევიზიის საშუალებით ხშირად გვესმის დამეწყრილ ტერიტორიებზე, სანიაღვრე სისტემის მოუწესრიგებლობის შედეგად დატბორილ ქუჩებსა თუ საცხოვრებელ სახლებზე, მდინარეების კალაპოტიდან გადმოსვლის ფაქტებზე და იმ განუსაზღვრელ მატერიალურ ზარალზე, რასაც მოსახლობა ღებულობს ხოლმე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს წყალუხვი მდინარეების კალაპოტების მოწესრიგების მიზნით დამცავი სისტემების – გაბიონების მოწყობის სამუშაოები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გადაგვერჩინა ბაღჩა-ბაღებისა და სავარგულების გარკვეული ნაწილი და დაგვეძლია მოსალოდნელი ზარალის რაოდენობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე რამდენიმე წელია დაიწყო და გრძელდება მდინარე ოთის წყალზე შესაბამისი გაბიონების მოწყობის სამუშაოები. პრაქტიკულად უკვე რამდენიმე კილომეტრის მონაკვეთზე ეს სამუშაოები დასრულებულია, თუმცა ბევრი მონაკვეთი კვლავ საჭიროებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას. რიგ მონაკვეთზებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების პროცესები აქტიურ ფაზაშია შესული დაბისა და სოფელ ოთის ტერიტორიებზე. იმედია ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ ოთის წყალი სრულიად შეიცვლის თავის იერ-სახეს და თავიდან იქნება აცილებული მოსალოდნელი კატასტროფები.

მიმდინარე სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2“. სამუშაოები განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება.

სახოში შიდაგზების სახეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს



ჩვენი გაზეთის მკითხველების დიდი ნაწილი კარგადაა ინფორმირებული ყველა იმ ფაქტისა თუ მოვლენის თაობაზე, რაც მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ხდება. ახლა უკვე ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ თითქმის ყველა მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, რაც იმის გარანტიაა, რომ უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის დაბაც და სოფლებიც სრულიად შეიცვლიან იერსახეს და რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო ინფრასტრუქტურულად განვითარებული მუნიციპალიტეტი გვექნება.

ასპინძა თავისი ისტორიული წარსულით, მატერიალურ-კულტურული ძეგლებით რომ უმნიშვნელოვანესია, ამას მტკიცება არ ჭირდება, მაგრამ ცალკე აღებული თითქმის ყველა სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, უფრო მიმზიდველი რომ გახდეს, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა.

სოფელი სარო ასპინძის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ თავისი მდიდარი ისტორიული, განსაკუთრებით მეგალითური ძეგლებით, ახლა უფრო აქტიურად იზიდავს ნებისმიერი კატეგორიის ადამიანებს, მათ შორის უცხოელებსაც. სწორედ ამიტომ ახლახან ინტენსიურად დაიწყო და მიმდინარეობს სოფლის შიდა გზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს სოფელში მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობას. ამავდროულად, – სოფლის სასაფლაომდე მისასვლელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარის დაგებას.

ამ დღეებში სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის პირველი მოადგილე დავით პაპაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ადგილზე გაეცვნენ.

აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2'' აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 250 ათასამდე ლარს შეადგენს.

მიმდინარე სამუშაოები გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს.

თავკვეთულას ახალი ხიდი



ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ვარძიიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე, მტკვრის მარჯვენა მხარეს კლდეში გამოკვეთილი თავკვეთულას მონასტერი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ეს ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ მთელ საქართველოში და მისი რელიეფური მდგომარეობა უდიდეს ინტერესს იწვევს ნებისმიერ დამთვალირებელზე. ამიტომაცაა, რომ ყოველწლიურად ამ წმინდა ადგილის მოსანახულებლად, ტრადიციულად, ყოველი წლის 11 სექტემბერს, უამრავი ადამიანი მოდის, რომლებსაც – ქალსაც თუ კაცსაც, ბავშვსა თუ მოზარდებს მდინარეზე გადასვლა ფეხით უწევდათ, რაც მათ დიდ პრობლემებს უქმნიდა. ეს ძეგლი იმითაცაა საინტერესო, რომ მის სანახავად ხშირად უცხოელებიც მოდიან და მათზე დიდ შთაბეჭდილებებს ახდენს.

უფრო შესაძლებელი რომ გახდეს მისი მონახულება და, ტურისტებისთვისაც მისაწვდომი, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს თავკვეთულას 91 მეტრი სიგრძის საცალფეხო დაკიდული ხიდის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს შპს „ალმე“.

ნიკო გაბრიელის ძე ასათიანი

დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ ძველში 1858 წელს. 1888 წელს სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს ებმება მოსწავლეთა არალეგალურ წრეში, სადაც გაერთიანებული იყვნენ გოლა ჩიტაძე, ფარნაოზ ფანცხავა, ბაგრატ ზედგინიძე. ამის გამო იგი სასწავლებლიდან გარიცხეს, რის შემდეგაც ბრუნდება მესხეთში და ეწევა დიდ მამულიშვილურ საქმეს – იწყებს ფოლკლორული მასალების შეგროვებას, რასაც 60 წელზე მეტი ემსახურა. კარგად ფლობდა თურქულ, სომხურ, რუსულ ენებს. იგი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქართველ მაჰმადიანთა თურქულ ფოლკლორს. აუარებელი მასალა ჰქონდა შეგროვილი ქართლ-კახეთში და დასავლეთ საქართველოში.

1892 წელს მის მიერ ყარსში ჩაწერილი „ამირანდარეჯანიანი“ და ახალციხეში ებრაელი ქალისაგან ჩაწერილი ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ სამჯერ დაიბეჭდა გაზეთებში ზაქარია ჭიჭინაძის რედაქტორობით. ასათიანი ფოლკლორული ფონდი დაცულია რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო ისტორიისა და ახალციხის სახელმწიფო მუზეუმებში.

მას დაწერილი აქვს თხზულება „დეილა“, რომელიც ეხება სამცხის ათაბაგთა ცხოვრებასა და მოგვითხრობს მათ ტრაგიკულ დასასრულს.

1902 წელს დაწერილი მისი „მუშა ჰასანი“ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. მისი ნაწარმოებებია აგრეთვე „ომის ღმერთი“, „ბედნიერებას სიხარბით ვერ მოიპოვებ“, „მზარეული ივანე“, „მომშორდი წყეულო ბუზო“, „მსურს წმინდა ილიას ნახვა“ და სხვ.

აღნიშნულ ნაწარმოებებში იგი გვიხატავს მშრომელი ადამიანების ყოფა-ცხოვრებას, ადამიანთა სიხარბეს, გაუტანლობას და სხვა.

ასათიანი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1942 წელს.

პროფესორი ელიზბარ წითლანაძე

ელიზბარ სიმონის ძე წითლანაძე დაიბადა 1912 წელს ასპინძის რაიონის სოფელ საროში. სწავლობდა ბორჯომში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, 1937 წელს მუშაობას იწყებს ამავე უნივერსიტეტში დოცენტად, პარალელურად ლექციებს კითხულობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

სხვადასხვა დროს იყო ამავე უნივერსიტეტის პრორექტორი დაუსწრებელი სწავლების დარგში, საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე.

1955 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კათედრის გამგედ.

ე.წითლანაზე ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა მათემატიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა არასწრაფი ფუნქციონალური ანალიზი. ამ დარგში მის კალამს ეკუთვნის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, აგრეთვე იგი მათემატიკური ანალიზის კურსის სამტომეულის ავტორი და თანაავტორია.

პროფესორი ელიზბარ წითლანაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი. სხვადასხვა დროს შედიოდა ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის, საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტებისა და სხვა დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოების შემადგენლობაში.

დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკადემიკოსებთან – ნ.მუსხელიშვილთან, ვ.კუპრაძესთან და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან.

საუკუნის გადასახედიდან

კაფეების და რესტორნების დახურვა

მთავრობამ მოისმინა მოხსენება კლუბების და რესტორნების დახურვის შესახებ და დაადგინა:

1) დაიხუროს კაფე შანტანები და კლუბები, რომელთაც გართობის ხასიათი აქვთ. აგრეთვე დაიხუროს ის რესტორნები, რომელსაც კაბინეტები აქვს და სხვა ამგვარი დაწესებულებები.

2) დაწესდეს რესტორნებისა, სასადილოებისა და სამიკიტნოების ვაჭრობა საღამოს 10 საათამდე ახალი დროით.

3) სასტიკათ განისაზღვროს სამიკიტნოებისა და ყავახანების რიცხვი.

4) აიკრძალოს ყოველგვარი ტკბილეულობის კეთება გარდა შაქრისა, შაქარყინულისა, მონპასიესი, „სუხარებისა“ და ბულკებისა.

5) მცხოვრებთა სიმშვიდის დასაცავად აიკრძალოს კერძო ბინებზე ქეიფი და ყოველგვარი მხიარულება, რომელიც მეზობლის მყუდროებას არღვევს.

პირველი მუხლის დამრღვევნი დაისჯებიან ოთხი თვით დაპატიმრებით ან 100 000 მანეთის ჯარიმის გადახდევინებით. მხოლოდ მეხუთე მუხლის დამრღვევნი კი დაპატიმრებულ იქნებიან ორი თვით და ან დაჯარიმებული 10 000 მანეთით. აქედან შემოსული ფული გადაეცემა შრომის სამინისტროს სოციალური დახმარების აღმოსაჩენად. დადგენილების შესრულება ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

რესპუბლიკა-100-ის შენიშვნა: *1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში გაიზარდა შავი ჭირისა და ქოლერის გავრცელების მასშტაბი, ამასთანავე საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში გაჩნდა სათბობი რესურსების ნაკლებობა. ამ მიზეზთა გამო მთავრობას მოუწია შეზღუდვების დაწესება, ერთი მხრივ ეპიდემიის გავრცელების შესაჩერებლად, მეორეს მხრივ კი ღამის გასართობი დაწესებულებების დახურვით სათბობი რესურსების დაზოგვისათვის. ნახეთ ასევე ჩვენი ჩანახატი პირველი რესპუბლიკის დროინდელი თბილისის შესანიშნავ კაფე-რესტორნებზე:*

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელის 31ოქტომბერი, N248

კოვიდ-19

უკვე 10 თვეა, რაც მიმდინარეობს კაცობრიობის ბრძოლა კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით განპირობებული ინფექციის COVID-19 (SARSCOV-2) გამომწვევთან, რომელმაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს ნორმალური ფუნქციონირება შეაჩერა.

ვირუსი პირველად გასული წლის დეკემბერში გაჩნდა ჩინეთის ქალაქ უჰანში. მანამდე კორონავირუსების სხვა შტამებმა ორი მძლავრი ეპიდაფეთქება (2003 და 2012 წლებში) განაპირობა სარსისა და მერსის სახით, თუმცა, ჩვენთვის ცნობილია რესპირატორული ინფექციების ჯგუფი, როლებსაც აქამდე ცნობილი კორონავირუსები იწვევს და მსუბუქი მიმდინარეობით ხასიათდება.

ზოგადად, ცნობილია, რომ კორონავირუსები ძირითადად ცხოველებში ცირკულირებენ. სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, ამ ვირუსებს შეუძლიათ ადამიანებშიც გადავიდნენ. ასეთი ერთერთი ფაქტორია ვირუსის მუტაციის პროცესი და ადამიანების ინტენსიური კონტაქტი ცხოველებთან. ამ მხრივ, კოვიდ-19 ის შესახებ დაზუსტებული ცნობები ჯერჯერობით არ არსებობს.

ამ ეტაპზე მიჩნეულია, რომ ეს ვირუსი გადაეცემა წვეთოვანი და კონტაქტური გზით – ცხვირის, პირის და თვალის არეში დაინფიცირებული ადამიანის ხველის ან ცემინების (ან საუბრის) დროს გამოფრქვეული შხეფების (აეროზოლის) მოხვედრა მნიშვნელოვნად ზრდის გადამდებლობას და ვირუსის გავრცელების რისკს.

დაავადების სიმპტომებია: ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება, სუნისა და გემოს შეგრძნების დაკარგვა და სხვა, შესაძლოა განვითარდეს ისეთი გართულებები, როგორიცაა პნევმონია, ე.წ. „დისტრეს სინდრომი“, რამაც შესაძლოა სიცოცხლესთან შეუთავსებელი ცვლილებები გამოიწვიოს. თუმცა, აქამდე გამოვლენილი შემთხვევების 80-85 პროცენტი მსუბუქად გამოხატული სიმპტომებით მიმდინარეობს, არის ასევე ასიმპტომური მიმდინარეობაც.



კოვიდ-19-ის დიაგნოსტიკა ხდება პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით მოლეკულური ლაბორატორიის დონეზე და საკმარისი ვალიდურობით გამოირჩევა. ამავე დროს, შესაძლებელია დიაგნოსტიკა სწრაფი ანტიგენტესტების საშუალებითაც. ამ უკანასკნელის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ეტაპიდან, როცა სეზონური ვირუსების ცირკულირება იწყება გარემოში.

რაც შეეხება მკურნალობას, ამ ვირუსის საწინააღმდეგო ეტიოტოპული პრეპარატი ჯერ არ არსებობს. დღეს მკურნალობა ხდება გამოვლენილი სიმპტომების შესაბამისად.

რაც შეეხება ვაქცინას, ის შემუშავების და გამოცდის პროცესშია.

ინფიცირებისაგან პრევენციის საუკეთესო საშუალებად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დღეს მოწოდებულია სამედიცინო ნიღბის გამოყენება დახურულ სივრცესა და გარეთ, თავშეყრის ადგილებში, დისტანციის დაცვა (როგორც ფიზიკური, ისე სოციალური) და ხელის ჰიგიენა – წყლითა და საპნით საფუძვლიანი დაბანა და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენება, როცა ამის დრო და საშუალება არ არის.

დაკვირვებებმა აჩვენეს,რომ აცივებასთან ერთად შემთხვევათა რაოდენობაც მატულობს. მოსალოდნელი რესპირატორული ვირუსების და გრიპის სეზონზე რომ არ მოხვდეს თანხვედრა კორონავირუსთან, კარგი შესაძლებლობა არის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს აცრები და, პირველ ეტაპზე აიცრა (მინისტრის ბრძანებით) განსაზღვრული რისკ ჯგუფები. ეს გახლავთ ორსულები და ბაღის აღმზრდელ-პერსონალი. სულ ახლახან მივიღეთ მომდევნო პარტია ვაქცინის და უკვე აიცრება სამედიცინო პერსონალი, ქრონიკული დაავადების (დიაბეტი, ფქოდი და ა.შ.) მქონე პირები, შემდეგ სხვა მცირე რისკ ჯგუფები.

დღეის მონაცემებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი სტატისტიკაა:

დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 32;

გამოჯანმრთელებული - 4;

გარდაცვალება - 1;

ბინაზე მკურნალობს – 14 პაციენტი;

სტაციონარში - 11;

თვითიზოლაციაშია – 84 პირი.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამწვავების ფონზე საზოგადოებაში უფრო მნიშვნელოვანი გახდა ნიღბის გამოყენების კულტურა, თუმცა, მისი ტარების აუცილებლობა და სწორად მორგების წესი ჯერ კიდევ არ არის ადამიანებისთვის ამ ეტაპზე აუცილებელი პრინციპი. ფაქტი კი ის არის, რომ ნიღაბი ნამდვილად იცავს. ამიტომ მანდატორულად თუ დადგება ეს საკითხი, ინფექციის გავრცელება საკმარისად შეიზღუდება, რა თქმა უნდა, დისტანციასა და ხელის ჰიგიენასთან ერთად.

მზია პაპაშვილი,
აიპ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი.
31 ოქტომბერი, 2020 წელი

„ლექსო, არ დაიკარგები!“

ფარსულის ფურცლები

სოფელ ოშორის სიმღერის ანსამბლი. 1967 წელი.
სურათი მოგვაწოდა გულნაზი გელაშვილმა

სპორტი

ასპინძელებმა გაიმარჯვეს

ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე, «მასტერ ლიგა 2020'' -ის ფარგლებში 7X7-ზე ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატის მუნიციპალური თამაშების ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა.

ნახევარფინალში ერთმანეთს სოფელ ივერიის და მირაშხნის გუნდები დაუპირისპირდნენ.

შეხვედრა დასრულდა ანგარიშით 4: 2, ივერიის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე თამაშში ერთმანეთს ასპინძისა და სოფელ ძველის გუნდები შეხვდნენ, სადაც ანგარიშით 2 : 1 ასპინძის გუნდის სასარგებლოდ დამთავრდა.

ახლახან ფინალურ თამაშზე ერთმანეთს ასპინძისა და სოფელ ივერიის მოყვარული ფეხბურთელთა გუნდები შეხვდნენ და გამარჯვება ასპინძის გუნდმა მოიპოვა.

თამაშებს ორგანიზებას საქართველოს „7X7"-ზე ფეხბურთის ასოციაცია და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური უწევენ.

აღნიშნულ ტურნირს ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი ოთარ ციანაძე და „7X7"-ზე ფეხბურთის ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი ლაშა ჭეიშვილი.

***

ჩემო კარგო, შენ ხარ ქვეყნის მშვენება,
გულის, სულის, დამშვიდება, შენება,
რომ არ მყავდე, ნეტავ რა მეშველება,
ვარსკვლავეთი ხომ დაკარგავს
მშვენებას,
მზე და მთვარეც ერთად ჩაესვენება.

***

ჩემი საქმე სულ უკუღმა წავიდა,
სხვა სიყვარულს ვეღარ ვიწყებ თავიდან.
ყველაფერი უკუნეთში წავიდა,
მითხარ რამე, რომ დავიწყო თავიდან.

***

ერთხელ ის დილაც გათენდება,
ჩემთვის რომ აღარ გათენდება,
ეს გულიც მაშინ გაჩერდება,
საათიც კედელზე გაჩერდება
და სული სხეულს რომ გაშორდება.

ისე მიგლოვებ, ყველა გაკვირდება,
შენი ცოდვით ქვაც კი ატირდება,
წლამდე ღაწვზე ცრემლი დაგდინდება,
მაშინ შავი კაბა დაგჭირდება.

მერე ეგ მანდილიც გახუნდება,
ერთხელაც იქნება გაწვიმდება,
ალბათ სხვა პატრონი დაგჭირდება,
ძველი ღიმილი რომ დაბრუნდება.

შენი გული სხვის გულს დასჭირდება,
შენიც – იმ გულს დაპირდება,
ჩემთან მოსვლა აღარ დაგჭირდება,
იცოდე, ღმერთი მუდამ გაკვირდება.

***

იცი, როგორ მიყვარს მე ეგ დალალი,
მინდა ეგ გული იყოს ჩემსკენ მავალი.
ჩემი გული სულ იქნება შენთვის ალალი,
შენს ლოდინში სულს თუ დავლევ,
ცრემლი მაინც გაიმეტე წმინდა, ალალი.

ხომ ხედავ რომ შორი გზა გვაქვს
ძნელად სავალი,
სანატრელი გაგვიხდება მზე ჩამავალი.
დარდები მაქვს მწველზე მწველი
ისე მრავალი,
ეს სიცოცხლე ხანმოკლეა და წარმავალი.

ნეტავ ქვეყნად სამართალი რატომ
არ არის.

***

მე მიყვარხარ, შენგან ტანჯვას
განვიცდი,
შენ თუ მაინც გენატრები – არ ვიცი.
გული გელის, მითხარ, განა არ იცი?
მოდი ჩემთან, უსასრულოდ დაგიცდი.
შენთან ყოფნას მე ვერავინ დამიშლის.

***

ჩემს ეზოსთან გაიარე –
დამჭკნარ გულმაც იხარა,
გამხმარ ჯირკმაც დაგინახა
ყლორტი ამოიყარა.

ცაზე ცვარი აწყლიანდა,
წვეთ-წვეთ ჩამოიღვარა,
ჩემს მაგივრად მოგეფერა, –
ჯავრი ამოიყარა.

გოგოვ, ისე ლამაზი ხარ,
ამიტირე გიტარა,
შენმა გულმა ეს სიმები
სულ გულში გამიყარა.

მერე არც კი შემიბრალა,
თვალი თვალს გამიყარა,
მერე ვითომ არაფერი,
ახლოს არ გამიკარა.

***

ეგ თმები გაქვს ოქროსფერი,
დალალები როგორ გშვენის,
თვალები გაქვს თაფლისფერი
და გიხდება ყველაფერი.

მიყვარს შენი ალისფერი
გადმოშლილი თმების ფერი,
შენი სახის ვარდის ფერი,
შენი თვალ-წამწამის ფერი.

დე, ეს გული იყოს შენი,
ეგ გული კი მხოლოდ ჩემი,
მე ხომ მუდამ შენთვის ვმღერი,
მოდი ჩემთან, მომე ხელი.

მიყვარს მე სიცოცხლე შენი,
შენ ხარ ჩემი გულის მკვლელი,
ცხოვრებაში იმას ველი,
დაგიკოცნო ბაგე მწველი.

ავტორ-მთქმელი
ზეზვა ბიბილაშვილი,
63 წლის, სოფელი იდუმალა

წიგნის მოყვარულთათვის!

ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ შეიძინა შემდეგი დასახელების ახალი წიგნები:

ალბერტ ენგელი ი. – „ორსულობა და მშობიარობა";
ალექსიძე მ. – „მდუმარების მეჯლისი";
ამირეჯიბი მ. – „მე და ჩემი წილი მამა";
ამირეჯიბი ჭ. – „დათა თუთაშხია";
ანთაძე ი. – „პირველად იყო ლაქა";
ბაბლუანი თ. – „მზე, მთვარე და პურის ყანა";
ბაკმანი ქ. – „კაცი სახელად უვე";
ბებურიშვილი ლ. – „ვაჟა ფშაველა 156 ამბავი";
ბურჭულაძე მ. – „უფროსი ძმა სხვის ტყავში;"
ბურჭულაძე მ. – „ერთი მამის შვილები; ემიგრანტის სამაჯური";
ბურჭულაძე მ. – „ბედნიერი ოჯახის საიდუმლო ბოთლში";
ბურჭულაძე მ. – „თევზთა დუმული, თოხთამიშვილის მახვილი";
„გამომწყვდეული ისტორია";
გარი რ. – „დაპირება განთიადისას";
გიუნდაი ჰ. – „დასაბამიდან დასასრულამდე";
გიუნდაი ჰ. – „მალაფა";
გოგრიჭიანი ვ. – „ლანდების ლხინი";
ეკერტი ჰ. – „დინამიური საუბრის ხელოვნება";
ვარგასი ფ. – „წადი სწრაფად, დაბრუნდი გვიან";
ვარგასი ფ. – „ლურჯი წრეები";
ველიფი თ. – „დაკარგული ბიჭი;
ველიფი თ. – „მოხედე შენს სახლს ანგელოზო";
კეკელიძე მ. – „ჯვარცმული ქვეყანა";
კლაინი ე. – „გოგონები;
კორძაია-სამადაშვილი ა. –" ვინ მოკლა ჩაიკა?";
კორძაია-სამადაშვილი ა.– „ზინკა ადამიანი";
კორძაია-სამადაშვილი ა. – „მე მარგარიტა";
კოტეტიშვილი ვ. – „ჩემი წუთისოფელი";
ლაგერკრანცი დ. – „გოგონა, რომელიც სამაგიეროს ყველას უხდის";
ლეისონი ლ. – „ ხის ყუთზე შემდგარი ბიჭი";
„მასპინძელია საქართველო";
ოჩიაური გ. – „ხევსურული მოთხრობები";
პრუსტი მ. – „სოდომი და გომორი";
„პორფირე თერიონის ვარდი";
„როგორ ავიცილოთ სოკოთი მოწამვლა";
„როგორ დავაყენოთ ქვევრის ღვინო";
„სოლომანაშვილი ბ. – „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ამბავი ახალი დახვრეტილებისა";
ტურგენევი ი. – „პირველი სიყვარული, ზაფხულის მღელვარე ნაკადები";
ტურაშვილი დ. – „სელიმის პროცესი";
ფანჯიკიძე ნ. – „შიშო გამოდი გარეთ";
„ქართველთა გამუსლიმანება";
ჰარვიცი ა. – „მოკვდი სიყვარულო";
ფროიდი ზ. – „მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი";
ხალილ ჯიბრანი ჯ. – „იესო ძე კაცისა წინასწარმეტყველი".

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის
საინფორმაციო განყოფილება

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია